№ 211 ოქტომბერი 1, ოთხშაბათი 1886 ოქტომბერი 1 ოთხშაბათი № 211

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაჭროს, ცენტრალურსა ტფილისის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 3 ოქტომბ.

გაზეთი „ივერია" 1-ლის ოქტომბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 50 კ.

ტფილისი, 30 სექტემბერი

ჩვენს გუშინდელს წერილში მოვიყვანეთ სიტყვა-სიტყვით 31 მუხლი ინსტრუქციისა შესახებ საგლეხო მართველობის სამაზრო ზედამხედველობისა. იგი მოვალეობა, რომელიც დაუკისრებია პროექტს მის მიერ შედგენილ სამაზრო ზედამხედველობისათვის და რომელიც მოხსენებულია ინსტრუქციის 31 მუხლში, მეტის-მეტად ძნელად აღსასრულებელია იმ კოლლეგიისაგან, საცა არც ერთი წევრი სპეციალურად მომზადებული არ არის კანონების ასახსნელად და განსამარტებლად. კანონის ახსნას და განმარტებას მარტო ნუხსურად კანონების ცოდნა არა ჰკმარის, თუმცა ამ მხრითაც კი ძნელად საფიქრებელია, რომ მაზრის უფროსსა, მის თანა-შემწეს და მომრიგებელს შუა-კაცსა მათის ხელობის შესახებ კანონებზედ მეტის კანონებისვე ცოდნა მოეთხოვებოდეს. კანონების ახსნას და განმარტებას მარტო სიტყვა-სიტყვით თარგმნაც კანონისა ყოველთვის არა ჰშველის. ამას გაწრთვნილი იურისტი უნდა, იმიტომ რომ ამისთანა შემთხვევაში საჭიროა კაცმა სულს მიაგნოს კანონისას და არა მარტო ხორცსა,—და უნარს ამ მიგნებისას მარტო მეცნიერება იძლევა, მეცნიერება რჯულიერებისა.

ჩვენ იმისი წინააღმდეგნი არა ვართ, რომ ამ ზედა-მხედველობაში მონაწილეობა არა ჰქონდეს მაზრის უფროსსა და მომრიგებელს შუა-კაცსა. პირ-იქით საჭირონიც არიან, რადგანაც პროექტის ძალით სათემო სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება გადასწყვიტოს საქმენი ჩვეულების მიხედვითაც. მაზრის უფროსი და ნამეტნავად მომრიგებელი შუა-კაცი ყოველთვის ხალხში ჰტრიალებენ, მის ცხოვრებას აკვირდებიან, ავკარგიანობა ერის ცხოვრებისა მათ თვალ-წინ მიდის-მოდის ყოველ დღე და მაშასადამე ყველაზედ მომეტებული სახსარი ჩვეულების ცოდნისა ამათა აქვთ.

ჩვენ მარტო იმის თქმა გვინდა, რომ მესამე წევრი მაინც იყოს იმისთანა, რომელსაც სარჯულიერებო მეცნიერების ცოდნა მოეთხოვებოდეს. ამისთანა წევრი სამაზრო ზედა-მხედველობისათვის მომრიგებელი მოსამართლეა. ჩვენის ფიქრით, დიდი ნაკლი იქნება ზედამხედველობისა, თუ მომრიგებელი მოსამართლე არ იქმნა მესამე წევრად.

თუ ჩვენ გვკითხვენ, ჩვენ ისიც საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მაზრის უფროსის მაგიერ მაზრის მარშალი იყოს, რადგანაც იგი ყოველთვის ადგილის კაცია და ადგილის ავ-კარგიანობა ნახული და ნაცადი აქვს და მაშასადამე იგი უფრო ზედ მიწევნით მცოდნე იქნება ჩვეულებისა, ვიდრე სხვა.

ჩვენ, რასაკვირველია, ამას ვამბობთ მარტო იმ გუბერნიებზედ, საცა მარშლები არიან კანონით დაწესებულნი, საცა არ არიან, სხვა გზა არ არის, მაზრის უფროსი უნდა იყოს წევრად ზედამხედველობისა.

მაზრის უფროსის თანა-შემწის წევრობა არ არის შესაწყნარებელი ერთის მიზეზითაც. პროექტი იხსენიებს ერთს შესანიშნავს შემთხვევას, რომელიც არა ერთხელ თავს გამოიჩენს და რომელიც კოლლეგიურს განხილვას მოითხოვს. თუ ვინიცობაა, ამბობს პროექტი, მაზრის უფროსის და მომრიგებელ შუა-კაცის ცალ-ცალკე განკარგულებაში ზედამხედველობის შესახებ რაიმე უთანხმოება აღმოჩნდა, მაშინ კოლლეგიურად უნდა განირჩეს საქმეო, ესე იგი მაზრის უფროსის თანა-შემწეც მოიწვიონ განსახილველადო. ჩვენ ეს კანონი არ გვესმის. ვსთქვათ, მომრიგებელ შუა-კაცმა ერთი განკარგულება რამ მოახდინა და იმავ საგანზე მაზრის უფროსმა სულ სხვა ბძანება გასცა. ჩამოვარდა უთანხმოება. ეს უთანხმოება როდის გახდება საკოლლეგიოდ? რასაკვირველია, როცა ერთმანეთში ვერ მოშველდებიან. რა კი ვერ მოშველდებიან, ვის უნდა შესჩივლონ? მესამე წევრს ზედა-მხედველობისას, ესე იგი მაზრის უფროსის თანაშემწეს. გამოდის, რომ მათი გამკითხველი მარტო მაზრის უფროსის თანაშემწე იქნება. ეს როგორღაც ჭკუაში არ მოდის. ვსთქვათ, ეს არაფერი. ნუ თუ ჰგონია ვისმე, რომ როცა მაზრის უფროსი თავისას იტყვის და მომრიგებელი შუა-კაცი თავისას, მაშინ მაზრის უფროსის ხელ-ქვეითი თანა-შემწე თავის უფროსის სიტყვას არ მიემხრობა? მომრიგებელი შუა-კაცი რა იმედით უნდა მიდიოდეს იმ კოლლეგიაში, საცა ერთი წევრი მისი მოდავეა, მეორე მოდავის ხელქვეითია და მესამე კი თვითონ მოჩივარი არის? ამ სახით გამოდის, რომ მაზრის უფროსი მოდავეა, მომრიგებელიც მოდავეა და დარჩა გამკითხველად მარტო ერთი მაზრის უფროსის თანა-შემწე. ან სად გაგონილა, რომ უფროსი, ესე იგი, მაზრის უფროსი თავის ხელ-ქვეითისაგან ეძიებდეს განსამართლებასა?

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების შესახებ სახეში მიიღებენ იმ დიდს და თავ-დაუჭერელს ნაკლს, რომელიც ჩვენ ჩვენის შეძლებისამებრ შევნიშნეთ ზემოდ დასახელებულს პროექტსა სამაზრო ზედამხედველობის შედგენილობის თაობაზედ. ჩვენ არა გვგონია, რომ მაგ ნაირად შედგენილმა ზედა-მხედველობამ კანონ-მდებელს კეთილი სურვილი საგლეხო მართველობის განკარგებისა შეუსრულოს სადმე. თუ რამ სიკეთე მიუძღვის ამ მხრით ხსენებულს პროექტსა, ეგ სიკეთე ის არის, რომ უმაღლესი სასამართლო, როგორც წინადაც ვსთქვით, ახლო ექმნება გლეხ-კაცობას, თუ ვინიცობაა სათემო სამართალი გულს რითიმე დააკლებს. ეს სიკეთე, ჩვენის ფიქრით, დიდს შეღავათს მისცემს გლეხ-კაცობას და დიდად მოსაწონია ვითარცა დედა-აზრი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას ზედა-მხედველობის აგებულებას. ხოლო ამ დედა-აზრის იმ გვარად ხორცთ-შესხმა, როგორც მოუწადინებიათ პროექტის დამწერთა, ვერაფერი თავდებია საქმის კეთილად წარმართვისათვის.

ახალი ამბავი

*** ქ-ზ-ნს ლიდია პაშკოვისას, რომელიც დიდხანს ყოფილა ჩინეთში, მოუწერია წიგნი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისათვის ოდესიდამ, რომ მე ვაპირობ ტფილისში მოსვლას და ერთ-ერთს თქვენს კრებაზე მე წავიკითხავ, თუ გნებავთ, ვრცელს წერილს ჩაის მოყვანაზე ჩინეთშიო. ამასთანავე მე მაქვს ჩაის მცენარის თესლი და ვისაც ჰსურს, საქართველოში ჩაი ახაროს, შეუძლიან მე მომმართოსო.

*** წარსულ კრებაზე ამავე საზოგადოების თავს-მჯდომარის ამხანაგს ი. ს. ხატიროვს მოუხსენებია წევრთათვის, რომ საჭიროა 2000 მანათი კიდევ გადაიდოს მებაღეობის სკოლისათვისაო, რადგან საქალაქო გამგეობამ უარი გვითხრა ამ ფულზეო. ეს ფული კერძოდ იმისთვის არის საჭირო, რომ გადიდდეს სახლი ამ სკოლისაო, იმიტომ რომ შეგირდები ბლომად არიან და ადგილი-კი არ არისო იმათთვისაო. ერთ-ერთ წევრს უთქვამს, რომ ხელმეორედა ვსთხოვოთ ქალაქს, შესწიროს მებაღობის სკოლას 2000 მანათიო და ამას გარდა კიდევ მივმართოთ იმერეთის თავად-აზნაურობას და იმასაცა ვსთხოვოთ, ბანკის მოგებიდამ ცოტაოდენი შეწირვა აღმოუჩინოს ერთ-ხანად ზემოხსენებულ სკოლასაო.

*** ამას წინად გორში შემდეგი ამბავი მოხდა: ბ-ნი შ—ი დიდს ქუჩაზე, ერთ სარდაფში სცლიდა ურმებსა. შ—ს იჯარით ჰქონია აღებული თ. წერეთლების მამული, რომელიც ა—სგან დარჩათ. როცა პურებს აბინავებდა, ამ დროს ცხენ-და-ცხენ მოურაგით ჩამოუვლია ახალ-გაზდა ა—ს; შ—ი და ა—ი შეტაკებულან, მოსვლიათ ჩხუბი. შ—ს რომ არავინ მიშველებოდა, სიკვდილს არ ასცდებოდაო.

*** რამდენჯერმე იყო „ივერიაში" მოხსენებული, რომ სკრის ხიდი, რომელიც გორიდამ ათის ვერსის სიშორეზე, სოფ. სკრის ბოლოს იყო გადებული მდ. მტკვარზე, გაფუჭდა და ცხენით და ეტლით მოსიარულეთ აღარ შეუძლიანთ გაელაო. დღეს ეს ხიდი ისე დაძაბუნდა, რომ ქვეითი ხალხიც ველარ დადისო. საცისიანოს ეხლა ბორნების საშუალებითა აქვს მისვლა-მოსვლა მტკვარ-გაღმა სოფ-

ფელეტონი

ბაჩანას პასუხად

გადმასხალისა, ძმობილო,
შენგან ნასროლმა იამა,
შენი ფანდურის ჟღერაი
მოხუცს გულს მეტად იამა!..
ყური დავუგდე სიმებსა,
დამიტკბეს ბერი სულისა,
გადამახედეს ფშა-ველში,
მთლად ამაჩქროლეს გულისა!..
მასმინა შენმა ფანდურმა
მთის ყვავილების ქებანი,
„ფშაური ქალის ტირილი"
და „ტყვის სიმღერით" შვებანი...
ბაასი ბებერ მუხასთან
ალმასებრ ლექსით მსმენია,
დავლონებულვარ ბებავი,
ცრემლიც ვერ დამითმენია!..
შენ დამანახვე, ძმობილო,
„მგზავრის საღამო მთებშია",
ფრთები დაკუშვი მე დაბლა,
ვეღარ მოვყვები ფრთებშია...
შენ ყმაწვილი ხარ, მე—ბერი,
ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია!
მაწავე, მოძმევ, ახალო,
ბერსა ახალი ჰანგია!

რაფ. ერისთავი

ბალლადები პროზით

(ალფონს დოდესი)

დღეს დილით ვაღებ კარს და ვხედავ: რაც კი რამ იყო ჩემის წისქვილის ირგვლივ, შემოსილია თრთვილით, თითქო ვერცხლის მტვერი წაუყრიათო. ბალახი, თითქო მინისაო, ბრწყინავს და ხრამუნი გააქვს ფეხებ ქვეშ; ახლო ფერდობი შეკრულია ყინვით... ჩემი საყვარელი პროვანსი უეცრად გადაკეთდა ჩრდილოეთის მხარედ. თრთვილის თეთრის ჯინჯილებით მორთულს ფიჭვებს შუა, ბროლის თაიგულებად გადაშლილთ სუმბულთ შორის,—მე დავსწერე ეს ორი ბალლადა, ცოტა არ იყოს, გერმანიელთ კილოზე,—დავსწერე იმ დროს, როცა ყინვა მაყრიდა ალმასის წინწკლებს, ხოლო იქ კი, შორს, ცის ქვეშ—სამკუთხედად გაწყობილნი მიჰქროდნენ წეროები და ხმა მაღლად გაჰკიოდნენ: „ცივა!.. ცივა!.. ცივაო!.."

I

დოფინის სიკვდილი

პატარა დოფინი ავად არის, პატარა დოფინი სასიკვდილოდ მიიწურა... მთელს სახელმწიფოში, ყველა ეკკლესიებში, ყოველ დღე-და-ღამ იწვის სამთლები და აღემართვის ლოცვა სეფე ყმაწვილის საშველად. ყოვლისფერი სატახტო ქალაქის ძველ ქუჩაზე ჩუმად არის და სევდით შემოსილია. მდუმარებენ ზარები, ეტლები მიდი-მოდიან წყნარ-წყნარა... სრა-სასახლის ალაყაფის კარებთან სჩანან ცნობის მოყვარე მოქალაქენი და შესცქერიან მოაჯირის გადაღმა მდგომ კარის მცველებს, ოქრო-მკედით ნაკერ სამოსლით მორთულებს, რომელნიც მედიდურად მუსაიფობენ ეზოში.

მთელი სასახლე შეწუხებულია... მსახურთ-უხუცესნი, ეშიკნი ადი-ჩამოდიან მარმარილოს კიბეებზე. კორიდორებში ფუსფუსობენ პაჟები და სასახლის კაცები, მიდი-მოდიან და ეკითხებიან ერთმანერთს: ახალი ამბავი ხომ არა იცით-რაო. ვრცელ გალლერეიებში თვალ-ცრემლიანნი სტატს დამები კრძალვით იწმენდნენ ცრემლებს ქსოვილის ხელ-სახოცებით, სუნნელებით დანამულით.

საზამთრო ბაღში შეკრებილან ექიმები. ლია ფანჯრებში მოსჩანს კარგად მათი გრძელი შავი სამოსლები, სჩანს აგრეთვე, თუ როგორის თავმომწონებით აქნევენ ისინი პარიკებით დაფარულს მელოტიანს თავებს. აღმზრდელი და პაჟი დოფინისა ბოლთასა სცემენ კარებთან, უცდიან კონსილიუმის გადაწყვეტილებას და ყურს არავის ათხოვებენ. მათ ახლო გარბი-გამორბიან მზარეულის ქარგლები. პაჟი გულ-მოსულია და იგინება, აღმზრდელი კითხულობს ჩუმად ჰორაციის ოდას... ხოლო თავლიდამ ისმის ხანგრძლივი გულ-საკლავი ხვიხვინი: ეს დოფინის ცხენია, დავიწყებული მეჯინიბეთაგან, მწუხარედ დასტირის თავის ცარიელ ბაგას.

კოროლი? ნეტავი სადღაა კოროლი?.. კოროლი, მარტოდ მარტო, ჩაკეტილა ერთს სასახლის მოშორებულს ოთახში... სამეფო პირთ არ უყვართ, რომ ვინმემ დაინახოს მათი ცრემლი.. კოროლის ცოლი,—ეს

ლებთან, მაგრამ წყალ დიდობის დროს ესეც მოესპობათ. ამბობენ, თთ. ციციშვილებს, როგორც ადრეაცა ესთქვით,—განზრახვა აქვთ, რომ ქარელის პირდაპირ გამართონ ხიდი სკრის ხიდის მაგივრადაო. ჩვენ ესეც გავიგონეთ, რომ სოფ. საღოლაშნის მემამულე თ. ს. ამირაჯიბი მზად არის თავის საამირაჯიბო ტყიდამ დაუთმოს ამ ხიდისათვის საჭირო ხე-ტყეო.

*** ჩვენ გვწერენ ქართლიდამ: სოფ. ოსიაურის მებატონეთა მამულში (გორის მაზრაში, სურამის მახლობლად) თათრებს ბალი გაუკეთებიათ და ბოსტნეულობა მოუყვანიათ. მებაღე თათრებმა აქაურობა აამტუტეს თურმე; აქ მოგყავს ერთი მაგალითი თათრების უწესო, უგვანო და არა-კაცურის საქციელისა: რუისელები ბეგარაზე ყოფილან სურამისაკენ; ჩამოვლაზე, ამ თთვის 17-სა, ორნი მისულიყვნენ ბაღის პირთან, საზამთრო აელოთ და შაურად გარიგებიყვნენ თათრებს; თუ კარგი გამოვა აეილებთ, თუ არა და არ გვინდაო. საზამთრო არ ვარგებულა. წათამამებულს თათრებს ჩხუბი დაეწყოთ. ორი ხნიერი გლეხი გიორგი ბექაშვილი და ეგნატაშვილი შეეკრათ და ისრე ეცემათ; თავ-პირი დასისხლიანებული და დალურჯებული ჰქონდათ თურმე. ეგნატაშვილს მარცხენა ყურის ქვემოდ ხანჯლით ჭრილობაცა ჰქონდაო. ადგილის მამასახლისი ჩაჭრილა თათრებთან საქმის გასაგებად და მისაშველებლად. თათრებს შემოუტევიათ, ხელები არ გაუხსნათო. ბექაშვილი უფრო ძრიელ იყო ნაცემი და დალურჯებული, უფრო მარჯვენა მკლავი ჰქონდა დაშავებული. მამასახლისმა ყველანი ერთ იქაურ თავადთან თურმე წაიყვანა, რადგანაც სულ იმას ეკითხებიან ხოლმე რჩევას ყველა მძიმე საქმეში. თვით გლეხებმა ასე მიამბეს და ესეც დაუმატეს: «კნიაზთან გვაახლეს, შენი ჭირიმე. დაქექილები და დამტვრეულები; ერთი მადლიანი კაცი გამოგვიჩნდა; და თათრებს შემოუტია. შენ, უთხრა თათრების უფროსს კაცსა, ცემას არ დასჯერებიხარ, რჯული გიგინებია და ღმერთი; შენ რომ შემოგაგინონ, არ გეწყინებაო? რად მოქცევიხართ ასე ულმერთოდაო. კნიაზმა კი გვითხრა, რომ რჯულის შეგინება არაფერიაო, გაგიჯავრებიათ თათრები და იმათაც უცემიათ და რჯულიც შემოუგინებიათო.

გლეხებმა განაგრძეს: გვაწვალეს და გვაწამეს, შენი ჭირიმე; მე, სთქვა გიორგი ბექაშვილმა, — სიარულის ილაჯი აღარა მქონდა, ისე გახლდით ნაცემიო. ვერც არას ის კეთილი კაცი გახდა და ვერც არას მამასახლისი. თათრებს სამი მანეთი საზრიელო დაადეს და ჩვენ გამოგვისტუმრეს; ორი მანეთიც სასოფლოდ დაადეს. უფრო გული დაგვითუთქა ოსიაურელმა მწერალმა; როგორც იმან დასწერა, ისე გაიარეს; რომ წაგვიკითხა, მერე ასეთი დაგვიცაცხანა, რო ესთქვით, ახლა ამან არ დაგვისართოსო და გამოვეცალენითო. ამასთანა ამბები, შენი ჭირიმე, ლეკიანობას თუ ხდებოდა ხოლმე, თორემ ეხლა, ამ დაემინებულს დროს, ვინ მოიფიქრებდა, სთქვა გულ-საკლავად გლეხმა ბექ—მა.

*** ზემოხსენებულ მებაღე თათრებისაგან — გვწერენ ქართლიდამვე — ამ გვარი ბაშიბუზუყური საქციელი ერთი და ორი არ არის; ამას წინად სომხის მღვდელი სურამისა გალახეს; სურამის პოლიციის ბოქაულმა რამდენჯერმე დაატუსაღა თათრები, დასტუქსა, ხან დაარიგა, მაგრამ არაფის ეპუებიან; ალბად იმედი აქვთ ვისიმე. თუ ტფილისის გუბერნატორს არ მიმართეს, ცეცხლაფერი არ გაამგებინეს, აქაურობას აიკლებენო.

*** 27 სექტემბერს, როგორც ამბობს გაზ. «ნოვ. ობოზ.», შემდეგი საზარელი ამბავი მომხდარა ტფილისში, ვერაზე. ყაზახის კ—ს 19 წლის ქალი გამდლის ადგილს ეძებდაო. შაბათს საღამოს როცა ქალის მამა შინ არ აყო, მივიდა ამ ქალთან სამი უცხო კაცი და უთხრეს, აქა-და-აქ ადგილია გამდლისა და წამოდიო. თუ ეხლავე არ წამოხვედი, მერე აღარ მიგიღებენო. ქალი დაჰკითხებია დედას და, რაკი დედა დათანხმებულა, წაჰყოლია ამ უცხო კაცებს, რომელთაც ძალათი გაუპატიურებიათ ქალი და დაუნებებიათ თავი. ქალმა მაშინვე პოლიციას შეატყობინა ეს ამბავიო. მეორე დღეს დამნაშავენი შეიპყრეს და დაატუსაღესო.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ სართიჭალას საღამოს 8 საათზე ვიღაც დაიარაღებულმა თათრებმა მოჰკლეს ჩაფარი სანაყაშვილი და გაიქცნენო; სოფელმა ბევრი სდია თათრებს და ვეღარა დააკლო რაო. ახლა ამ საგანზედ ზემოხსენებულსავე გაზეთს შეუტყვია შემდეგი: ყარაიაზის ბოქაულმა ნაცვლიშვილმა რამდენიმე შეთოფ-იარაღებული კაცი წაიყვანა და წავიდა სოფელს შიხილოს იმ ავაზაკის თათრების შესაპყრობადაო. როცა ეს ცხენოსნები მიუახლოვდნენ ამ სოფელს, ორი დაიარაღებული თათარი გამოვარდა ცხენებითა სოფლიდამ და გაქენა მტკვრისკენ, რომლის გაღმაც ყარაიაზის ტყე არის. რაკი მდევარმა თავი არ დაანება და უკან გამოეკიდა, ავაზაკებმა ცხენ-დაცხენ დაუწყეს თოფის სროლა მდევარსა. ერთი ავაზაკი, მტკვარს რომ მიუახლოვდა, ამოეფარა წყლის ნაპირს და იქიდამ დაუწყო თოფის სროლა ბოქაულსა და მის ამხანაგებსა. ამ დროს მეორე ავაზაკი უკვე გავიდა წყალში, გაღმა ამოეფარა მოჭრილის ხის კუნძსა და იქიდამ დაუშინა თოფი მდევარსა. მდევარი ნელ-ნელა მიუახლოვდა მტკვრის ნაპირს მუცელზე ხოხვითა და ჩასაფრებულმა ავაზაკმა აღარ იცოდა, რა ექნა. ამ დროს კვლავ შეხტა ცხენზე და გადაერია მტკვარში, მაგრამ ცხენს მოხვდა ორი ტყვია და წაიქცა. მას მიჰყვა მხედარიცა. გაღმაური ავაზაკი მაინც არ იშლიდა თოფის სროლას. პატარა ხანს უკან ისიც დაიჭირა ბოქაულმა და ცოცხალი შეიპყრა.

მოკლული და დაჭრილი ცხენოსნები შიხილოს მცხოვრებნი აღმოჩნდნენო. ერთი—სალეჲ-აღა და მეორე—ჯანდირ-ბეგ შიხილინებიო. ორივეს ხელობა ცარცვა და რბევა იყო და დიდხანს ემალებოდნენ მთავრობასაო.

ჩაფარის სანაყაშვილის მკვლელები კი ჯერ ვერ იპოვნესო.

*** სომხურ გაზ. „მშაკში" იწერებიან არტანუჯიდამ, რომ იქაურ ძველ ციხეში უპოვნიათ მიწის თხრაში ერთი ზარი, წონით თორმეტ ფუთიანი. ზედ ქართული წარწერა აქვს ხუცურის ხელისაო; სიმაღლე აქვს 1 არშინი და 3 ვერშოკი, პირი 15 ვერშოკი დიამეტრიო. ხალხი ამ ციხეზე ამბობს, თამარ მეფის დროს არის აშენებულიო.

*** გაზ. „კასპი" ამბობს, რომ გეოქჩაისკენ ბაქოს გუბერნიაში ზოგიერთ სოფლებში საქონლის ჭირია გავრცელებულიო.

*** 25 სექტემბრიდამ მუსლიმინობის დღესასწაული დაიწყო. ეს დღესასწაული იმართება მაჰმადის შთამომავალ იმამების ჰასანისა და ჰუსეინის პატივის საცემლად და ჰქვიან სახელად „შაჰსეი-ვაჰსეი". სპარსეთში ამ დღესასწაულის დროს დიდი ამბავია ხოლმე. აქაური სპარსელებიც არ ჩამორჩებიან ხოლმე უკან თავიანთ თანამოძმეთ და გულ-მოდგინედ იხანჯლავენ თავსა და პირს. 27 სექტემბერს სპარსელნი შეიკრიბნენ ყარფუხის ერთ-ერთს ბაღში და იქ დიდის ამბით იდღესასწაულნათ „შაჰსეი-ვაჰსეიობა". გაზ. „კავკაზის" რეპორტიორი ამბობს, რომ ჩვენ ვნახეთ, ამ ბაღიდამ გამოსულნი სპარსელნიო, რომელთაც შავი ახალუხები ეცვათ და გასისხლიანებული თეთრი ფეშტამალები ჰქონდათ შემოკრულიო. ამ სპარსელთ თავ-პირი სულ დასისხლიანებული ჰქონდათ ხანჯლებითაო. სპარსელნი მიდიოდნენ სიჩქარით წყლისკენ და იქ იბანდნენ გასისხლიანებულს თავ-პირსაო. ამ ფანატიკოსთა შორის ერთი ყმაწვილიც იყო, ასე 10—12 წლისაო. ამ ყმაწვილს სახე სულ სისხლიანი ჰქონდა, მაგრამ სრულიად არ ეტყობოდა, რომ ტკივილს რასმე ჰგრძნობსო.

*** 29 სექტემბერს, მე-2 ნაწილში, ტფილისის 1 კლასიკურის გიმნაზიის მე-5 კლასის მოწაფემ აზნაურმა გრიგოლ გომელაურმა თავი მოიკლა დამბაჩით თავის დეიდის, მაიორის თებრონის სულიკოვის ქვრივის სახლში. გვამი საანატომიო კაბინეთში გაუგზავნიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** 27 სექტემბერს, მე-10 ნაწილში, ტფილისის მოქალაქეს დავით ახმადოვს შეუტყუებია ჯარის-კაცის ქალი ნატალია რუდენკო თემურაზოვის დუქანში, უთქვამს, ძიძათ მინდა დაგიჭირო და გაუპატიურებია. გამოძიება სწარმოებს; დამნაშავე დატუსაღებულია.

დამავიწდი!

სიბერის დროს იმას მოიმკიან ხოლმე, რასაც პირველ ხანებში სთესენ.
(მახნელისი)

**

იმოდენად ბიწიერი კაცი არა სჯულთ, რამოდენადაც იგი, ვისაც არც ერთი სათნოება არა აქვს.
(რუსსოო)

**

წესიერება ჯანმრთელობაა ერისა.
(ჯაუერული)

**

თვალნი ბოროტად მხედველნი
დაბრმავდეს, დადგეს ჩენითა,
ბილწი გულის-თქმა წყეული
ნუ იქმნას წარმოჩენითა.
(მეფე ვახტანგ VI)

**

ჟამანია იგი მ...
გინც ქაშვისგან ადრე იძლევს.
(არაბულ მეფე)

**

ჰე ცაო, ცაო!.. სიტკბა შენი
ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული...
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მეის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდე ვერ მოახწევენ
და ჰაერშივე განიბნევიან.
(ნ. ბარათაშვილი)

**

გირჩევ, ნუ სწევ ზღუდესა
შენს ზურგის მისაყუდებსა,
ერიდე, ნუ ჰშლი, ნუ ფუტკნი
სახით არწივთა ბუდეებსა.
(დ. გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქუშატანი. ეს სოფელი მდებარეობს ალაზნის მარცხენა ნაპირსა და ეკუთვნის თელავის მაზრას; კუშატანი არის ხელის გულივით გადაჭიმული სწორე და ვაკე ადგილზედ; ამ სოფლის გარეშემო ჭაობიანი ადგილებია და ამის გამო აქ გახშირებულია ციებ-ცხელება და სხვა ავად-მყოფობა; მეტადრე ახალად მოსული კაცი ვერ იტანს აქაურს ჰაერსა. ჩრდილოეთის მხრივ ამ სოფელს დაჰყურებს კავკასიონის მთები, დაბურულ ტყეებით შემოსილი. ამ სოფელში მიწა ნაყოფიერია ძრიელ და უხვადაც მოდის მოსავალი; აქ უფრო პური, ქერი და სიმინდი მოჰყავთ. ამის გარდა გაზაფხულზედ თითქმის ყველა გლეხი ჰხნავს წყლის ახლო სოფლის გარეთ საბაღეს, და მოჰყავს საზამთრო, ნესვი და კიტრი. ვენახები ამ სოფელში ცოტა არის, კუშატნელები მაგრე რიგად არ მისდევენ ვაზების გაშენებას და გამრავლებას; ისიც, ვისაც კი ამ სოფელში ვენახი აქვს, ვერასა ჰრჩება: მოიწევა ყურძენი, მაშინვე ლპება, ასე რომ ხალხი გემოსაც ვერა ჰნახავს ხოლმე, რომ გაიგოს მჟავეა, თუ ტკბილი. ფერისცვალობის დღისათვის კუშატნელებს სხვა სოფლებიდამ მოაქვთ ყურძენი. ღვინოსა და სხვა სასმელებს ყვარელში და ბეჟანიანში ყიდულობენ, რადგან აქ არც ერთი დუქანი არ არის სასმელების გასაყიდად.

ამ სოფელში სცხოვრებს 148 კომლი მოსახლე; აქ არ არის არც თავადი, არც აზნაური და არც სომეხი. კუშატნელებს საკუთარი მღვდელი არა ჰყავთ. სამ სოფელს ერთი მღვდელი ჰყავს.

სულ სხვაა!.. იგი ზის დოფინის საწოლთან და სტირის ცხარე ცრემლით, როგორც მდაბიო ვინმე ქალი...

პატარა დოფინი, მქრქალი, როგორც ბალიშები, რომელზედაც იგი ჰწევს, თვალ-დახუჭული მოჩანს თავის ძვირფასის ქვეშაგებიდამ. ჰფიქრობენ, რომ მას სძინავსო, მაგრამ, არა არა სძინავს პატარა დოფინს. აი იგი მოუბრუნდა დედას, და, შეჰხედა რა მისს ცრემლებს, ეკითხება:

— რა გატირებსთ, დედოფალო? ნუ თუ ასე დარწმუნებული ხართ, რომ მე არ მოვრჩები? დედოფალს ჰსურს გასცეს შვილს პასუხი, მაგრამ ცრემლები უკლავს გულში სიტყვებს.

— ოჰ! ნუ სტირით, დედოფალო! თქვენ გავიწყდებათ, რომ მე დოფინი ვარ და დოფინი ხომ არ მოკვდება ასე უბრალოდ და ურაროდ.

დედოფალი სტირის უფრო მწარედ და ეს აშინებს პატარა დოფინს:

— კარგი! გეყოფა!—ამბობს იგი. მე არა მსურს სიკვდილი, მე გაეუმაგრდები სიკვდილს და მე შევიძლებ დავიხსნა თავი სიკვდილისაგან... დეე, ორმოცი კარის მცველები, ყველაზე უფრო გამბედავი და მამაცი, გაჩერდეს აქ ყარაულად; დეე, ასი გატენილი ზარბაზანი, დღე-და-ღამ ცეცხლ-მოკიდებულის პატრუქით გაიმართოს ჩვენ სარკმელთა ქვეშ! და ვაი სიკვდილს, თუ იგი გაბედავს და მოახლოვდება ჩვენთან...

მეფის ყმაწვილის სანუგეშოდ გაიცა ფიცხლავ ბრძანება და იმ წამსვე ეზოდამ მოისმა ზარბაზნის თვლების გრიალი: ზარბაზნები დასდგეს, სადაც ბრძანება იყო; ორმოცი თავიდამ ფეხებამდის დაიარაღებული გვარდიის ჯარის-კაცი ყარაულად დადგა და შემოერტყა ოთახს ირგვლივ. ესენი სულ ძველნი, გამოცდილნი, ჭაღარაულვაშებიანი ჯარის-კაცები არიან. დაინახა ისინი თუ არა პატარა დოფინმა, მორთო ტაშის-კვრა სიხარულით. ერთი მათგანი კიდეც იცნო და დაუძახა:

— ლორენ! ლორენო!..

ჯარის-კაცმა წარსდგა ბიჯი საწოლისაკენ.

— მე ძლიერ მიყვარხარ შენ, ჩემო მეგობარო ლორენ!.. იშიშვლე შენი ბასრი ხმალი... თუ მოვიდა აქ სიკვდილი და მომინდომა წაყვანა,—არ უნდა დაანებო ჩემი თავი. თვითონ შენ დაასწარ და მოჰკალ სიკვდილი. მართალს ვამბობ, თუ არა?

— მართალს ბრძანებთ, თქვენო უდიდესობავ! მიუგო ლორენმა და ორი მსხვილი ცრემლი გადმოეკიდა ლოყებზე.

ამ დროს დოფინს მიუახლოვდა მღვდელი და, მიუთითა რა ჯვარ-ცმაზე, დიდხანს ელაპარაკა რაღაცაზედ ჩუმად. დოფინი ყურს უგდებდა გაოცებული და შემდეგ გააწყვეტინა ლაპარაკი:

— მე კარგად მესმის, რასაც მეუბნებით, მამაო, მაგრამ კარგად რომ დავქრთამოთ და ჯიბე გაუვსოთ... როგორ? განა ჩემი პატარა მეგობარი ბეპპო არ მოკვდება ჩემს მაგიერ?

მღვდელმა განაგრძო ჩუმად თავისი მოძღვრება და რაც უფრო მეტს ელაპარაკებოდა, მით უფრო დიდი განცვიფრება იხატებოდა დოფინის სახეზე.

ხოლო როცა გაათავა მღვდელმა, პატარა დოფინმა უპასუხა ამოოხვრით:

— ყოველისფერი, რაც თქვენა სთქვით, მამაო,—მეტად სამწუხაროა; მაგრამ ერთი რამ მანუგეშებს მე: ეს ისა, რომ იქ, ცაში, სამოთხეში, მე კვლავ ვიქნები დოფინი. მე ვიცი, რომ ღმერთი, ჩემი კარგი მეგობარია და, რასაკვირველია, პატივს დასდებს ჩემს საკოროლო ღირსებას...

შემდეგ იგი მოუბრუნდა დედას და უთხრა:

— უბრძანეთ მომიტანონ საუკეთესო ტანისამოსი—ჩემი თეთრი ყარყუმის ბეწვის სამოსელი და ხავერდის სადღესასწაულო ფეხსაცმელი: მე მინდა მოვირთო ანგელოზთათვის და დოფინის ტანისამოსით გამოვეცხადო სამოთხეში!..

მესამეჯერ მიუვიდა ახლოს მღვდელი დოფინს, მესამეჯერ ეუბნება რაღაცას ყურში...

— ეჰა, წყრომით იძახის ტახტის მემკვიდრე ბაშვი: მაშ არც დოფინად ყოფნა ყოფილა რამე, როგორც ვხედავ!.. და, რომ არავინ აღარ გასცა ხმა, პატარ დოფინმა პირი კედლისკენ მიიბრუნა და მწარედ, ცხარე ცრემლით დაიწყო ქვითინი...

ილია ხონელი

ლი ჰყავს, რომელიც სოფელ ჯიკაანში სცხოვრებს. (სოფელ ჯიკაანი 12 ვერსზედ არის კუჭატნიდგან).

კუჭატანში ფიცრულის სახლები იციან; უფრო მდიდარ გლეხებს აქეთ სახლები კრამიტით დახურული, ღარიბებს კი ჩალით. ყველა გლეხს სახლის წინ უდგია პატარა მოწნული სიმინდის შესანახავად. ამ მოწნულებს სასიმინდეს ეძახიან. კუჭატნელები მისდევენ ცხვრისა და ღორის გაშენებას, რადგანაც დიდი მინდვრები აქეთ და ტყეც ახლოა. აქ შეხვდებით ისეთს მდიდარს კაცს, რომელსაც ათასამდე ცხვარი და ხუთასამდე ღორი ჰყავს.

კუჭატანში ერთი პატარა ძველის დროის ეკკლესიაა, რომლის კედლები დღეს თუ ხვალ უეჭველად გადმოიქცევა და აქაურები უეკკლესიოდ დარჩებიან. ეკკლესიაში ერთი გატეხილი ზარია; ამ ზარზედ ხალხი შემდეგს ლაპარაკობს: „როდესაც ლეკები გადმოვიდნენ დაღისტნიდგან კახეთში სოფლების ასაკლებად, სხვათა შორის მოვიდნენ სოფელ კუჭატანშიაცაო; ხალხი დაარბიეს, რამდენიმე ლეკი სხვათა შორის ეკკლესიაშიაც შევიდა ამ ზარის გამოსატანადაო. ლეკებმა ზარს ხელი წაავლეს თუ არა, უცბად დაიხოცნენ; დანარჩენმა ლეკებმა მაშინვე თავი დაანებეს ამ სოფელს და თავ-ზარ დაცემულნი უკანვე დაღისტანში დაბრუნდნენო; რაც რამ დაელა ავლით ნივთეულობა, თუ საქონელი ყველაფერი კუჭატნელებს და ახლო მახლო სოფლების მცხოვრებლებს დარჩათ; ის ლეკები, რომელნიც ზარის მიზეზით დაიხოცნენ, დაწყეს კუჭატნელებმა ურემზედა, აიტანეს და კავკასიონის მთის წვეზედ დააწყეს; დაღისტანში კი ვერ გადიტანეს შიშითაო."

დრიევი-ანკირ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

«ბოლგარიიდამ არაფერი სანუგეშო ამბავები მოგვდისო», თითქმის მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა ამას იმეორებს დღესა.

სტამბულოვი აღარავის ერიდება და და პირდაპირ საქვეყნოდ ლაპარაკობს რუსეთის წინააღმდეგაო,—იწერება სოფიელი კორესპონდენტი გაზეთ „Новое Время"-სი. რუსეთმა თავისუფლება მოგვანიჭა,—ეს მართალიაო, — ამბობს თურმე სტამბულოვი, და რომ ვითომ რუსეთმა შეგვაერთა—ეს კი ტყუილიაო. ჩვენ პირიქით გაგვაშორეს, გაგვანაწილეს. სად არის ტულჩა, ადრიანოპოლი, სალონიკი? ბოლგარიაშია?...

ამას და კიდევ ბევრს სხვასაც ლაპარაკობენ აქა, ასე რომ ყველაფერი რომ დავსწეროთ, რუსეთში არც კი დაიჯერებდნენო, და სამწუხარო უფრო ის არის, რომ ყველა ეს ეთმობათ, ხმის გამცემი არავინა ჰყავთ ამ ბაში-ბუზუკებსაო.

ნუ თუ კიდევ უნდა მოველოდეთ რასმე ამ ავაზაკების ბრბოსაგანაო, რომელიც დაჰპატრონებია მთელს ბოლგარიასა და როგორც უნდა, ისე ატრიალებს ხელში. დიდ ხარ შენ რუსეთის სულ-გრძელებავ! ნუ თუ ვერ დავრწმუნდით, რომ ეს ბრბო, რომელსაც ბოლგარიის მთავრობას უწოდებენ სახელად, ურცხვად გვატყუებს? ნუ თუ ვერ მივხვდით, რომ ამ ავაზაკებთან ლაპარაკი და საქმის დაჭერა არ შეგვფერის? დროა სიტყვებს თავი დავანებოთ და საქმეს შევუდგეთ. საქმეს ტყუილ უბრალოდ-ღა ვაჭიანურებთ. მე გგონებ, რომ ერთის თავის წინადვე უნდა შევდგომოდით საქმის გარდაწყვეტასაო.

* *
*

რუსეთში ერთი ქალაქია, სახელად ბელებეევი. ეს ქალაქი იმით არის შესანიშნავი, რომ ქალაქს თავისი საკუთარი თვით-მართველობა აქვს მინიჭებული, ქალაქი თითონ განაგებს თავის საქმეებს და ამ გამგეობას კიდევ შესანიშნავი მოთავე ჰყავს, რომელსაც ქალაქის თავს უწოდებენ. რით არის ეს „თავი" შესანიშნავი, რით ისახელა თავი ამ ქალაქის თავმა?

აი გაზეთი „Новости" რას მოგვითხრობს:

ქალაქ ბელბეევში ქალაქის თავმა ხალხის თვალ-წინ საუცხოვოთ მიბერტყა ქალაქის გამგეობისვე მდივანი.

რა დანაშაულობა ჰქონია საბრალო მდივანს, რომ ასე საქვეყნოდ შეურაცხყოფა მიუყენებიათ? მდივნის დანაშაულობა მართლა რომ მძიმე და ძნელად შესაწყარებელი ყოფილა:

ქალაქის თავს ეჭვი აელო, ვითომ მდივანს მ წ ე რ ლ ო ბ ა დაეწყოს, ქალაქის გამგეობის შინაური საქმეები გარედ გამოეტანოს და უმართებულის გაზეთების ყბად გაეხადოს.

ეტყობა ბრიყვული ჩვეულება და ჯოხის ხმარება ჯერ კიდევ არ გადავარდნილა ჩვენს ზოგიერთ „შორს ადგილებში" — გულისწყრომით ამბობს ბოლოს გაზეთი.

ჩვენის ფიქრით კი, სწორედ რომ ახია ბ-ნ მდივანზედ, რაც მოუვიდა: აქამდინ, როგორ ვერ შეუტყვია, რომ მწერლობა შეუნდობელი ცოდვაა იმისთანა „ღვთისაგან დაცულ" ქალაქებში, როგორც ბელებეევია!!

რუსეთი

— ოდესის პოლიციაში ამას წინად ერთი კაცი მიუყვანიათ ციხიდგან. ეს კაცი მაღალის ტანისაა, მხარ-ბეჭიანი, დიდი შავი წვერი აქვს, დია შუბლი და მრისხანე სახე. წლოვანებით სულ 45 წლის კაც-კაცი იქმნება; ებრაელთა ჩამომავლობისაა. ეს კაცი პერმის გუბერნიაში დაუტუსაღებიათ, რადგან „პასპორტი" არა ჰქონია. დაჭერის დროს უთქვამს, რომ ოდესის მცხოვრებელი ვარ და აბრამ გიცენკო მქვიანო. მაშინვე ოდესაში გამოუგზავნიათ, ბევრი უძებნიათ, მაგრამ ქალაქის მცხოვრებთა სიაში არსად ყოფილა აბრამ გიცენკო ჩაწერილი. კიდევ უკითხავთ:

— სწორე გვითხარი, რა გვარისა ხარო?

უცნობს ახლა სხვა გვარი დაურქმევია თავის თავისთვის და გამოუცხადებია, რომ ხარკოვიდამა ვარო.

— მაშ რაღათ იძახდი, რომ ოდესსელი ვარო? უკითხავთ.

— ოდესის ნახვა მინდოდა და გამოვისეირნე სახაზინო ხარჯზედაო. მე გაგონილი მქონდა, რომ ოდესსა საუცხოვო ქალაქიაო, ნახვა მინდოდა და ვნახე კიდეცაო. არც მახლობელი, არც ნათესავი არავინ არა მყავსო და დიდიხანია, რაც მთელს რუსეთში დავწანწალებო.

ეს მაწანწალა ხარკოვში გაუგზავნიათ, მაგრამ როგორც ეტყობა კიდევ ბევრს ქალაქს დაასახელებს თავის საცხოვრებელ ადგილად და ხაზინის ხარჯით ისეირნებსო, ამბობს გაზ. „Одесскій Вѣстникъ".

— პეტერბურგის ზარაფხანა ამზადებს ოქროსა და ვერცხლის ფულს და ჩქარა გამოვა სახმარებლად ეს ფული. ოქროს ფული თუმნიანი და ხუთ-მანათიანი იქმნება, ვერცხლის ფული კი ათ-შაურიანი და ხუთ-შაურიანები იქმნებაო.

— 23 სექტემბერს მოსკოვის ერთს მეიდანზე ერთს რიგიანად ჩაცმულს ქალს ხალხი შეუგროვებია და დაუწყია ლექციის კითხვა ელექტრონზედ. ამ ქალს იმითი დაუსრულებია თავისი ლექცია, რომ კაცის სისხლი ელექტრონით მოძრაობსო. ეს ქალი დაუტუსაღებიათ და პოლიციაში გაუგზავნიათ. გამოუძიებიათ და აღმოჩენილა, რომ ერთის ვაჭრის ქალი ყოფილა და წინა დღეს გამოპარულა გიჟების სავად-მყოფოდამ.

უცხოეთი

ოსმალეთი. სტამბოლიდამ ატყობინებენ 17 სექტემბერს „Politische Korrespondenz"-ს: ოსმალეთის პეტერბურგელი ელჩი შაქირ-ფაშა რომელიც ამჟამად სტამბოლშია, ყოველ დღე დადის დიდ-ვეზირთანა და საგარეო საქმეთა მინისტრთან და მოლაპარაკება აქვსთ რაღაზედაცაო. ამ ლაპარაკს მაშინვე ატყობინებენ სულთანსაო. ამბობენ, რომ შაქირ-ფაშა რუსეთის გამოგზავნილია ბოლგარიის საქმეზედ მოსალაპარაკებლადაო. სამხედრო კამისია წავიდა აღმოსავლეთ-რუმელიის სამზღვრის სიმაგრეების გასასინჯავად, არზრუმში კიდევ ჰგზავნიან ზარბაზნებსა და გერმანიაში ახალი საარტილერიო იარაღი შეუკვეთესო.

ავსტრი-ვენგრია. აი „Mornivg Post"-ი რას ამბობს ტისსას სიტყვის გამო: დიდთა სახელმწიფოთ, რომელთაც მშვიდობიანობის დაცვა სურთ, აქამდე უბრალო მოლაპარაკებაზე დროს არ დაჰკარგავდნენო: „Times"-ის სიტყვით, ტისსა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ინგლისი იმის პოლიტიკას მიემხრობაო, თუმცა ტისსამ თავის სიტყვაში ბევრ ადგას გადუსგადმოუსვია და ნამდვილი თავისი აზრი არ გამოააშკარავაო. „Standard"-ის აზრით-კი, ტისსას სიტყვა იმასა ჰნიშნავს, რომ ავსტრიამ გამოაცხადა: „შორს იყავითო!"

გერმანია. ტისსასაგან სწორედ იმას მოველოდით, სწერს კელნის გაზეთს ბერლინიდამ, რაცა სთქვაო. ტისსამ მართალი სთქვა, რომ პოლიტიკის საფუძვლად უნდა ბერლინის ხელ-შეკრულობა დაიდვასო. დიდს ყურადღებას აქცევენ ტისსას შენიშვნას, რომ პირობის ძალით, ოსმალეთის მეტს არავის შეუძლიან იარაღით ჩაერიოს ბოლგარიის საქმეებში და ყოველივე ცვლილება ბოლგარიის საქმის გამო დიდთა სახელმწიფოთა ნებითა და დაკითხვით უნდა მოხდესო. თუმცა ოსმალეთს აქვს მართლ უფლება, რომ იარაღით ჩაერიოს ბოლგარიის საქმეებში, მაინც დიდთა სახელმწიფოთ იმედი აქვსთ, რომ ოსმალეთი ამ ნაბიჯს იმათ დაუკითხველად არ გადასდგამსო. რაც შეეხება ოსმალეთის პეტერბურგელის ელჩის სტამბოლში მისვლას, ჯერ არავინ იცის ნამდვილად, თუ რა მიზეზით წავიდა სტამბოლში შაქირ-ფაშაო. შაქირ-ფაშა თითქმის ათი წელიწადია, რაც პეტერბურგში სცხოვრებს და ეხლა სულ მოკლე ხნით დათხოვნილაო. რუსეთისა და ოსმალეთის უფრო დასაახლოვებლად შაქირ-ფაშა სტამბოლში არ წავიდოდაო. ამის გამო რუსეთის სტამბოლელ ელჩსაც შეეძლო მოლაპარაკება ოსმალეთთანაო. ოსმალეთს სურს რუსეთთან კეთილი განწყობილება იქონიოს, მაგრამ ამასთან არც ის უნდა, რომ ინგლისი მოიმდუროსო...

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

(შემდეგი*)

გუშინ ბ-ნ ჯაჯანაშვილის „კრებულზე" გვქონდა ლაპარაკი, დღეს ბ-ნ ალექ. ნათაძეს სახელთმძღვანელოს ვუბრუნდებით.

რამდენადაც პატივცემული ავტორი კრებულისა მუყაითად მოჰქცევია თავის შრომას, იმდენად ალექ. ნათაძე ზეზეურად, თუმცა საგანი მეორისა უფრო მძიმე და საჟალდებულოა. შორს რომ არ წავიდეთ, სამშობლო ენის სწავლების მეთოდზედ ბევრი თქმულა ჯერ რუსულს ლიტერატურაშიაც. ეს, ვგონებთ, ბ. ნათაძისთვისაც საიდუმლო არ უნდა იყოს. საუკეთესო პედაგოგებს—უშინსკის, მიროპოლსკის, ბუნაკოვს, ელნიცკის, ვესსელს, მთელი ტომები აქეთ დაწერილი ამ საგანზედ; მაშასადამე მასალა დიდზედ დიდი ჰქონდა ავტორს და მხოლოდ იმის ცოდნასა და უნარზე იყო დამოკიდებული, მოეკრიბა, რიგზედ მოეხმარა, კარგად შეემუშავებინა ეს მასალა და გარდმოეცა ქართველ მკითხველისათვის. გარდა ამისა ზემო-აღნიშნული პედაგოგები სხვა-და-სხვა აზრისა არიან ზოგიერთს სწავლის საშუალებაზე და აქ ბ-ნი ნათაძე ვალდებული იყო კარგად აეწონ-დაეწონა საგანი და ჩვენთვის მოეცა უკანასკნელი სიტყვა რუსულის პედაგოგიისა. ავტორი, როგორც ეტყობა, ყველა ამას ვერ მოჰრევნია და ამიტომ ისევ უმჯობინებია სხვა-და-სხვა ავტორების აზრების ცალკ-ცალკე მოყვანა. ავტორი გამოსდგომია იმ ანდაზას, რომ გრძელი სიტყვა მოკლედაც ითქმისო, და პატარა წიგნაკში (62 გვ.) იმის თქმა განუზრახავს, რასაც უშინსკიმ ორი ვრცელი წიგნი მოანდომა, მიროპოლსკიმ ერთი დიდი ტომი და აგრეთვე ბუნაკოვმა და ელნიცკიმაც. 62-ს პატარა ფურცელზედ ჩვენი ავტორი მოგვითხრობს აი რამდენს საგნებზედ: 1) წერა-კითხვის სწავლებაზე საზოგადოდ: ძველი და ახალი მეთოდები წერა-კითხვის შესწავლისა. 2) სახმო მეთოდის უმთავრესი ღირსებანი დისტერვეგის აზრით. 3) პედაგოგის უშინსკის აზრი სახმო მეთოდის შესახებ. 4) მიროპოლსკის აზრი სახმო მეთოდის შესახებ. 5) სამ-გვარი სახმო მეთოდი: სინტეტიური, ანალიტიური და სინკრეტიული. 6) საყურადღებო წინადადებანი წერა კითხვის შესწავლისა სახმო სინკრეტიულის მეთოდით და სხვა, და სხვა. ამ გვარად სულ ოცდა ერთი ნომერია სათაურისა. ამდენ საგნებზედ აბა რას იტყვით 30-ს ფურცელზედ, რას მისცემთ მკითხველსა, გარდა მშრალის, აქეთ იქიდამ მოკრეფილის რეცეპტებისა. ასეც იქცევა ბ-ნი ალექ. ნათაძე და ხშირად იმეორებს ექიმივით: ეს ასე უნდა, ის ისეო.

უპირველესად ყოვლისა თქვენ გაკვირვებთ «სამშობლო ენის სწავლების მეთოდის» დამწერის სამშობლო ენის უცოდინარობა. „ამ წიგნის მიზანია, ავუწყებს ბ-ნი ნათაძე, დაეხმაროს პატივცემულ პირთ ბავშვების შეგნებულ, გაადვილებულ და წესიერად პირველ-დაწყებით სწავლებას და აალვინოს იგინი შინაარს (ს) და ინტერესს მოკლებულს სწავლებას». რა მძიმე და უხამსი ენაა! მერე, ბატონო, შეგნებულს, გაადვილებულს და წესიერად მოწყობილს სწავლებას რაღა თქვენი დახმარება ეჭირება!? პატივცემულო მკითხველო, ამბობს კიდევ ავტორი, ჩვენს წიგნში ბევრ შეცდომას აღმოაჩენს, როგორც შინაგან ისე გარეგან ფორმებშიაო». რა არის ეს შინაგანი და გარეგანი ფორმები? შინაგანი ფორმა! არ გვესმის, მოგვიტევეთ. „ბავშვი ეჩვევა სიტყვიერების ორგანოების და ბუნებითი ნიჭის გონიერულად ხმარებას.» ეს რაღა არის? არც ქართულად გვესმის ეს წინადადება და არც რუსულად: Ребенокъ пріучается сознательно употреблять органы словесности и природныя способности! სადაური სიტყვა-პასუხია ეს, ვერ გაგვიგია. „ეს გარჯიშობა, იმის გარდა, რომ ახალისებს ბავშვს, პედაგოგიური მხრითაც დიდი მნიშვნელობა აქვს." (გვერდი 17). ეს გარჯიშობა დიდი მნიშვნელობა აქვს! ღმერთო, გვიხსენ ასეთის მწერლისაგან.

აი ასეთის ენის ცოდნით არის დაწერილი ბ-ნ ნათაძის პედაგოგიურ რეცეპთა კრება. ენის უცოდინარობა ზოგჯერ ჩვენ ავტორს სრულიად იმის წინააღმდეგს ათქმევინებს ხოლმე, რის თქმაც ჰსურდა. მაგალითებრ: «შეგნებული მასწავლებელი, გვიწერს ავტორი, პირ-და-პირ წერა-კითხვიდამ არ დაიწყობს საქმესაო. წერა-კითხვის სწავლებას მოსამზადებელი სამუშაოც უნდა მოსდევდესო.» (გვ. 16) აშკარაა, აქ ავტორს ჰსურდა ეთქვა: წერა-კითხვას მოსამზადებელი სამუშაოც უნდა მიუძღოდესო და ამის მაგიერად სრულიად წინააღმდეგი კი სთქვა: უნდა მოსდევდესო.

მეთოდიურს რეცეპტებშიაც ბევრს შეცდომასა ვხედავთ. მაგალითებრ, ბატონის ნათაძის აზრით, ჯერ ბავშვმა კითხვა უნდა ისწავლოს დაბეჭდილის ასოებისა და შემდეგ წერა (გვ. 24). ამ აზრს შეცდომად სცნობს სულ უკანასკნელი მასწავლებელი და ეტყვის ბ. ავტორს: თქვენ, ჩვენო ოსტატო, პედაგოგიაში ერთის საუკუნით უკან დარჩენილხართო. მთელს ქვეყანაზედ ეხლა ანბანის შესწავლაში „წერა-კითხვითი მეთოდია" (методъ письма-чтенія) მიღებული. ჯერ შეისწავლებენ წერა-კითხვა საწერის ასოებით და მერე მხოლოდ ბეჭდურს კითხვაზე გადავა მოწაფე.

სწავლა უნდა იყოს თვალ-საჩინო (наглядное). ეს რეცეპტი ბ. ნათაძესაც აქვს. როგორ უნდა მოვიხმაროთ, როგორ უნდა გამოვიყენოთ საქმეში ეს რეცეპტი, საიდამ დავიწყოთ და სად გავათავოთ ეს თვალ-საჩინობა? ბ. ნათაძე უადგილო წვრილმანობას გამოსდგომია ამ მხრივ და გულ-წრფელად ურჩევს მასწავლებელს ასო «ო»-ის შესწავლა რომ გინდოდეთ, კლასში თოხი შეიტანეთ (!) და ჰკითხეთ მოწაფეებს: რა ჰქვიან ამასაო. თუ ასე მივყევით, მაშ, როდესაც ასოების „შ" და «ჭ» სწავლება მოგვიხდება, უნდა შექამანდი მოვიხარშოთ და კლასში შევიტანოთ. მეტის-მეტი ახირებაა ასეთი თვალ-საჩინობა! სამაგალითო გაკვე-

*) იხ. „ივერია" № 210.

თილებიც არ უვარგა ბ. ნათაძეს. მაგალითებრ, სახალხო ლექსს თამარ-დედოფალზედ, ჩვენის ავტორის ფიქრით, პირ და პირ უნდა შეუდგნენ კითხვას და მას წინ არა ვითარი განმარტება არ უნდა წაემძღვაროს (предварительная бесѣда). თვითვე ბ. ნათაძე ამბობს სხვა ალაგას, რომ ამ გვარს ლექსებს წინ უნდა საუბარი მიუძღოდეს ზოგიერთს ძნელად ასახსნელს საგნებზედაო და თითონვე კი არ მისდევს თავის რჩევას. თუ თქვენი რეცეპტი თქვენვე ვერ მოგიხმარნიათ, ვექვობთ, რომ სხვამ რაშიმე გამოიყენოს. ჩვენის ფიქრით კი, იქნება მთელს „დედა-ენაში" სხვა ლექსი არც კი მოიპოვებოდეს, რომელსაც ვრცელი წინასწარი საუბარი უნდოდეს, როგორც ამ ლექსსა და თქვენ-კი, ბატონო, პირ-და-პირ იმის კითხვას ურჩევთ.

არც წერა-კითხვის გაკვეთილები უვარგა ბ-ნ ნათაძეს. სულ უკანასკნელი, ყოვლად-განუვითარებელი მასწავლებელი უფრო უკეთესს გაკვეთილს დასწერს, ჩვენის ფიქრით. აქაც ბ ნ ნათაძეს ვერ შეუთვისებია, ვერ გაუგია პედაგოგიის ნამდვილი შეხედულება საგანზედ და უფრო წვრილმან პედაგოგების ნაწერებიდამ უსარგებლნია. პსიხოლოგიური ჭეშმარიტებაა, რომ ბავშვის ყურადღებას ერთის საათის განმავალობაში (ერთს გაკვეთილზედ ესე იგი) ერთი და იგივე ძალა არა აქვს, რომ ყურადღება გაკვეთილის დასაწყისში ძლიერია და ბოლოს უფრო სუსტდება. თუ ამ ჭეშმარიტებას მხედველობაში ვიქონიებთ, მაშინ ყველასთვის ადვილი მისახდომი იქნება,—როგორ უნდა განაწილდეს რომელიმე გასაკვეთი მასალა ერთს საათში. ავიღოთ მაგალითად ბ ნ ნათაძის ერთი რომელიმე გაკვეთილი და გავსინჯოთ, რამდენად დაუცავს ავტორს ზემოდ-მოყვანილი ფსიხოლოგიური ფაქტი. გაკვეთილი მე 37-ს გვერდზედ; ასო და ხმები „ხ" და „ე". გაკვეთილი წერა-კითხვის შესწავლისაა (обученія грамотѣ). ყოველს გაკვეთილში უნდა განირჩეს, რომელი ნაწილი უფრო მეტად საჭიროა და რომელი ნაკლებად. აქ მოყვანილს წერა-კითხვის გაკვეთილში, უეჭველია, უმთავრესი ყურადღება როგორც ოსტატისა ისე შეგირდისა იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ შესწავლილ იქმნას ასოები „ხ" და „ე". სხვა, გარეშე საუბარს აქ მცირეოდე ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. ეხლა თქვენ განსაჯეთ: როდის უნდა იქმნას შესწავლილი მთავარი საგანი გაკვეთილისა („ხ" და „ე"), გაკვეთილის დასაწყისში, როდესაც მოწაფენი არ დაღლილან, თუ ბოლოს, როდესაც ყურადღებაც და გონებაც უსუსტდება, უჩლუნგდება ბავშვსა? რასაკვირველია, ყოველს შეგნებულის კაცისთვის აქ პასუხი ცხადია. ბ-ნი ნათაძე კი ასე იქცევა: ჯერ იწყებს საუბარს საზოგადოდ ხეზედ და აძლევს ბავშვებს ასეთს საკითხავებს: „ვინ მიჰხვდება, ზაფხულში, პაპანაქებაში რის ქვეშ ისვენებს გლეხი-კაცი მუშაობის დროს? ვის უნახავს ხე? ჩვენის სკოლის ეზოში რამდენი ხეა? (შე დალოცვილო, თუ კი სკოლის ეზოში ხეები გიდგათ და ისიც რამდენიმე, მაშ ბარემ პირ-და-პირ გეთქვათ: აგე ხე-თქო, რაღა იყო ეს მეტი ლაპარაკი. ზაფხულში, პაპანაქებაში და სხვა!!) ტყეში ვინ ყოფილა?" და სხვა-და-სხვა... ასე და ამ გვარ ლაპარაკში ატარებს სამს მეოთხედს გაკვეთილისას, ესე იგი საუკეთესო დროს სწავლისას და მერე მხოლოდ, როდესაც პატარა მოწაფეთ მოჰღლის, ეუბნება: აბა ეს სიტყვა შეისწავლოთ, რამდენი ხმისგან შესდგება ეს სიტყვა, პირველი რომელია, მეორეო? და სხვანი.

კმარა ესეც. ბოლოს ჩვენ მხოლოდ ერთს კეთილ რჩევას მივსცემთ კიდევ ბ-ნ ნათაძეს: ყველა საქმეზედ წერას დიდი მომზადება უნდა; კაცი ჯერ უნდა მოემზადოს, შეისწავლოს ენა, შეისწავლოს საგანი ზედ-მიწევნით და მხოლოდ შემდეგ განუზიაროს სხვას თავისი ნაღვაწი და ნაშრომი.

ბიძია

გასართობი

ახლად მოგონილი აგური. ამერიკაში დიდი ამბავია თურმე ეხლა იმის გამო, რომ მოუგონიათ ერთ-გვარი აგური, რომელიც სუბექიც არის და არც იწვისო. იქაურის გაზეთების სიტყვით, ამ აგურს აი თურმე როგორ აკეთებენ: ერთს ნაწილს მიწას ურევენ ორ ნაწილ კარგ ნახერხში, ჰზელავენ, ყალიბში გამოჰყავთ და ამის შემდეგ ახმობენ ამისთვის ცალკე დანიშნულს ბუხრებში; გახმობის დროს ნახერხი ნახშირად გადაიქცევა და დაიფერფლება. ეს აგური ძალიან სუბუქიაო, ამბობენ გაზეთები, და ერთი შესანიშნავი ღირსება კიდევ ისა აქვს, რომ ლურსმანს კარგად იმაგრებსო, მაშინ როდესაც უბრალო აგური იფხვნება და ფუჭდებაო.

გადაკეთებული ჰამლეტი. საბერძნეთის კოროლის ოჯახის წევრნი თურმე ხშირად იკრიბებიან და პატარა კომედიებსა სდგამენ სასახლის სცენაზედ. ხან-და-ხან კლასიკურ პიესებსაც წარმოადგენენ ხოლმეო. ამას წინად, მაგალითებრ, სასახლეში „ჰამლეტი" წარმოუდგენიათ. ტახტის მემკვიდრეს დანიის პრინცის როლი ჰქონია და უფროსს პრინცესას—ოფელიასი. პრინცესა ძალიან გულ-მოდგინებით შესდგომია როლის სწავლას, მაგრამ ბოლოს გამოუცხადებია, რომ არ მესმის, ოფელია თავს რად ირჩობსო; კარგი იქნებოდა, რომ ოფელია ჰამლეტს მისთხოვებიყო, რადგან ორივეს უყვართ ერთმანერთი და არც მშობლები არიან ამ ქორწინების წინააღმდეგნიო. ერთს კამერგერს, პრინცესის სასიამოვნებლად, გადაუკეთებია და სხვა ბოლო მოუბამ ამ ტრაგედიისთვის. აი რა გვარად არის თურმე გადაკეთებული ჰამლეტი: ჰამლეტი ხმალში გასვლის დროს ოდნავ არის დაჭრილი; ოფელია გლეხებს წყლიდგან ამოჰყავთ და ამის შემდეგ ოფელიასი და ჰამლეტის ქორწილი იმართება სცენაზედ.

დეპეშა

29 სექტემბერს

სოფია. ათის ნახევარი იქნებოდა, რომ ას-ორმოც და-ათამდე კაცი მივიდა რუსეთის საკონსულოში და უკმაყოფილება გამოაცხადა. არჩევანში ხსი კაცები არ მოჰყვნენ, ვინც ჩვენ გვინდოდაო. საკონსულოს გამგებელმა, ბ ნმა ნეკლიუდოვმა, მოაგონა ხალხს, რა განზრახვითაც არის გაგზავნილი ბოლგარიაში გენერალი კაულბარსი. მაშინ ხალხი საარჩევნო სადგურისკენ წავიდა, სადაც მოქალაქენი იყვნენ შეყრილნი გულჩვის თავ მჯდომარეობით. როდესაც ახლად მოსულებმა გამოაცხადეს; ჩვენ აქ იმიტომ მოვედით, რომ არჩევანები უნდა შევაყენოთო, დიდი ჩხუბი და აყალ-მაყალი ასტყდა. ახალად მოსულებმა ზოგიერთი თავის კაცი გასცეს და ზოგ თავიანთ ამხანაგს თითონვე დაუწყეს ცემა. ამრჩეველებმა-კი ყველა მოსულებს განურჩევლად ცემა დაუწყეს და ქვითა და კეტებით ერთს წამს გაჰფანტეს. ეს ჩხუბი და ცემა-ტყეპა სულ სამს წამს გაგრძელდა. გაფანტული ხალხი სამ ჯგუფად გაიყო და თავიანთი ნაცემი და დაშავებული ამხანაგები რუსეთის საკონსულოში წაიყვანეს. დაშავებულა 36 კაცამდე, მომეტებულს ნაწილს თავები აქვსთ გატეხილი. დაშავებულთ რუსეთის საკონსულო უვლის. ბ-ნ ნეკლიუდოვს განზრახვა აქვს სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ მოელაპარაკოს. საარჩევნო სადგურს ყარაულად ერთი როტა ჯარი უდგენია.

ქურჩევო. დღეს დილას გენერალი კაულბარსი რუშჩუკიდამ შუმლსა და ვარნაში წავიდა. რუშჩუკში სამშაბათს დაბრუნდება.

30 სექტემბერს

პეტერბურგი. „Правительст. Вѣстникъ"-ი გვაუწყებს, რომ ავსტრიისა და რუმანიის საზღვრებზე გაიგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროს რჩევის წევრი დორგობუჟინოვი და ექიმი დობროტვორსკი, რომელთაც უნდა შეამოწმონ, რამდენად კარგად არის იქ დაჭერილი საქმე საქონლის(?) რევიზიისა, თუ ვინიცობაა ამ საზღვრებზე გადმოა ვინმე ხოლერიან ქვეყნებიდამაო.

ჯერ-ჯერობით ხოფიიდამ ისეთი ამბები მოდის, რომ ვითომ არჩევანები დიდის სერო კრებისათვის მთავრობის კანდიდატების სასარგებლოდ უფროსაო.

«Journal de St.-Pètersbourg"-ი ამბობს, რომ ჯერ მნელია მართალი რამ გაიგოს კაცმაო, რადგან დეპეშები ცოტა არ იყოს საეჭვოდა და მიდგომით არიან შედგენილნიო. მაინც-და-მაინც, ამბობს გაზეთი,— ამის გამო უფრო ადვილი გასაგებია, რაც ამბობს რუსეთის მთავრობა, რომ მე არ შევიწყნარებ არც კრებას, რომელიც ეხლანდელ გარემოებათა შორის იქმნება ამორჩეული, არც მის დადგენილებათაო.

ვენა. გუშინ საღამოს მოვიდა აქ ლორდი ჩერჩილი.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთი თანხმა შეიქნა იმაზე, რომ აქ დროებით დაინიშნოს ბრიტანიის ელჩად სერ უაიტიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

ოქტომბერი 31 დღით არის.

1 დღე ოთხშაბათი. საფარველისა წმ. ღვთის-მშობლისა. წმ. მოციქ. ანანია, ღირსსწაული უქლისა. კათოლ. ეპისკ. ალმს. რემიგიასი. სომეხ. მარხვაა . დაარსება ტფილისის სასულიერო სემინარიისა. ჭეშმარიტი შუა—დღე 11—46—16. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 5—22; მთვარე ამოდის 6—4, ჩადის 5—53.

2 დღე ხუთშაბათი. წმ. თავადთა დავითისა და კონსტანტინესი; კათოლ. 2-სა და 3-მე დღეს ღვთის-მსახურება, სომეხ. საჰაკისა და ჰამაზასპისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—46—3. ტფილისში მზე ამოდის 6—11, ჩადის 5—20; მთვარე ამოდის 6—34, ჩადის 6—51.

3 დღე პარასკევი. წმ. დიონისე არეოპაგ. სომეხ. მარხვაა. გაიმართა ტელეგრაფი ტფილისსა და ფოთს შუა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—49. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 5—18; მთვარე ამოდის 7—11, ჩადის 7—55.

4 დღე შაბათი. მოწ. [illegible]. კათოლ. წმ. ალმს. ფრანცისკესი. სომეხ. წმ. 72 მოწაფეთა ქრისტესი. დაბადება მ. უმ. მიხეილ მიხეილის ძისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—36. ტფილისში მზე ამოდის 6—13, ჩადის 5—17; მთვარე ამოდის 7—52, ჩადის 8—51.

5 დღე კვირა. ქალწ.-მოწ. ხარიტონისა. ღირს. გრიგოლ ხანძთ. სომეხ. მეოთხე კვირა ამაღლებითგან. დაბადება მ. უმ. მარიამ ალექსანდრეს ასულისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45—24. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 5—16; მთვარე ამოდის 8—30, ჩადის 9—50.

6 დღე ორშაბათი. წმ. თომა მოციქულ. კათოლ. წმ. ალმს. ბრუნონისა. სომეხ. წმ. ფოკასი და ერანისა. ჭეშმარიტი შუადღე 11—45—12, ტფილისში მზე ამოდის 6—16, ჩადის 5—14; მთვარე ამოდის 9—27, ჩადის 10—48.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი . .	—	—	8	35	ბათუმი . .	—	—	8	35
ავჭალა. .	8	52	8	55	ქობულეთი.	9	25	9	28
მცხეთა . .	9	13	9	21	ნატანები. .	9	54	9	57
ქსანი . .	9	39	9	41	სუფსა . .	10	21	10	27
კასპი. . .	10	6	10	9	ლანჩხუთი .	11	—	11	3
გრაკალი . .	10	29	10	31	ნიგოითი. .	11	14	11	16
გორი . .	10	54	11	4	საჯავახო. .	11	39	11	41
ქარელი . .	11	33	11	36	სამტრედია	11	56	12	15
გომი . .	12	—	12	4	კოპიტნარი.	12	35	12	37
ხაშური .	12	21	12	41	რიონი . .	1	7	1	20
სურამი .	12	53	12	56	აჯამეთი .	1	32	1	34
ფონი . .	1	24	1	27	ყვირილა. .	2	11	2	26
ბეჟათუბანი.	2	14	2	34	ძირულა .	3	4	3	6
მარელისი .	3	3	3	5	ბელოგორი .	3	33	3	36
ბელოგორი .	3	32	3	35	მარელისი .	4	3	4	5
ძირულა .	4	2	4	5	ბეჟათუბანი	4	34	4	54
ყვირილა.	4	43	4	58	ფონი . .	5	41	5	44
აჯამეთი .	5	35	5	37					
	საღამოთი					საღამოთი			
რიონი. .	5	49	6	4	სურამი. .	6	12	6	15
კოპიტნარი .	6	34	6	36	ხაშური. .	6	27	6	42
სამტრედია .	6	56	7	16	გომი . .	6	59	7	3
საჯავახო. .	7	31	7	33	ქარელი . .	7	27	7	30
ნიგოითი. .	7	56	7	59	გორი . .	7	59	8	9
ლანჩხუთი .	8	10	8	14	გრაკალი .	8	32	8	34
სუფსა . .	8	47	8	55	კასპი. .	8	54	8	57
ნატანები. .	9	19	9	22	ქსანი . .	9	22	9	24
ქობულეთი. .	9	48	9	51	მცხეთა. .	9	42	9	48
ბათუმი . .	10	41	—	—	ავჭალა. .	10	6	10	8
					ტფილისი .	10	25	10	55

ქუთაისისაკენ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონისაკენ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.	სტანციები	მიდის საათ.	მიდის წამი.	გადის საათ.	გადის წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი . .	—	—	3	15	სურამი. .	—	—	2	35
ავჭალა . .	3	38	3	41	ხაშური. .	2	47	3	2
მცხეთა . .	4	6	4	15	გომი . .	3	26	3	31
ქსანი . .	4	42	4	45	ქარელი . .	4	5	4	12
კასპი . .	5	20	5	25	გორი . .	4	53	5	8
გრაკალი . .	5	53	5	56	გრაკალი . .	5	40	5	45
	საღამოთი					საღამოთი			
გორი . .	6	28	6	43	კასპი . .	6	13	6	19
ქარელი . .	7	24	7	29	ქსანი . .	6	54	6	57
გომი . .	7	53	8	7	მცხეთა . .	7	23	7	33
ხაშური . .	8	31	8	46	ავჭალა. .	7	58	8	1
სურამი . .	8	58	—	—	ტფილისი .	8	24	—	—

განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ტრანტირების შესახებ დამტკიცებულის დებულების 26 მუხლის თანახმად, ტრანტირების, საქირაო ეტლებისა და ბაგების საზოგადოდ დებულებამ არა უგვიანეს ამ წლის 1-ლი ნოემბრისა უნდა განაცხადონ ორთა-შუა რიცხვის საბაჟო გადასახადი 1887 წლისათვის. ამისათვის ტფილისის საქალაქო გამგეობა სთხოვს ზემოხსენებულ დაწესებულებათა და ადგილების პატრონთ, მიიღონ გამგეობიდამ, ამ გვარ დაწესებულების ქონება თუ სურთ 1887 წ., ბინა-ფიცი მოწმობანი არა უგვიანეს 1-ის ნოემბრისა. ვინც ასე არ იზამს, იმის გამგეობა მიეცქევა ტრანტირების შესახებ დებულების მე-18 და 35 მუხლის ძალით. (1—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე